

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის  
სამინისტრო

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბაზალეთში ორი უსახელო ხევის  
ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტის  
სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი:  
შპს „ინჟინერიუსი“

თბილისი  
2022 წ.

## 1 ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბაზალეთში ორი უსახელო ხევის ნაპირსამაგრი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტაცია შედგენილია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზის დეპარტამენტის და შპს ინჟინერიუს-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების (ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ. 90-22) საფუძველზე.

პროექტი განმხორციელებელია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ.

### საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
იურიდიული მისამართი	საქართველო 0160, ქ. თბილისი, ალ ყაზბეგის №12
საქმიანობის განხორციელების ადგილი	დუშეთის მუნიციპალიტეტი სოფ. ბაზალეთი
საქმიანობის სახე	ორი უსახელო ხევის ნაპირსამაგრი სამუშაოები (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის პუნქტი 9.13)
საკონტაქტო პირი:	გია სოფაძე
საკონტაქტო ტელეფონი:	599 939209
ელ-ფოსტა:	Giasopadze@georoad.ge

## 2 ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

წინამდებარე გარემოსდაცვითი სკრინინგის ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საფუძველზე. განსახილველი პროექტი მიეკუთვნება კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, კერძოდ:

• პუნქტი 9.13 – „ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით გათვალისწინებული სამუშაოები, აგრეთვე საზღვაო სამუშაოები, რომლებითაც შეიძლება სანაპიროს შეცვლა მშენებლობის მეშვეობით (კერძოდ, დამბის, ჯებირის, მიწაყრილის განთავსება და ზღვისგან დაცვის სხვა სამუშაოები), გარდა მათი სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქმიანობა ექვემდებარება კოდექსის მე-7 მუხლით გაწერილ სკრინინგის პროცედურას. ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე წინამდებარე ანგარიში მოიცავს:

- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე მიიღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

### 3. გარემოსდაცვითი კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმები

#### საქმიანობის მახასიათებლები

დღეშეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბაზალეთში ორი უსახელო ხევის ნაპირსამაგრი სამუშაოები.

**საქმიანობის მასშტაბი შეზღუდულია** - პროექტით გათვალისწინებულია საპროექტო ხეების გასატარებლად მონოლითური რკინაბეტონის წყალგამტარი მილების მოწყობა.

**პროექტით გათვალისწინებული** სამუშაოების გახორციელების შედეგად, ობიექტზე უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

**ბუნებრივი რესურსებიდან** წყლის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვ., რასთან დაკავშირებითაც სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი.

სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. სხვა სახის რაიმე არსებითი შესაძლო ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე არ არის მოსალოდნელი.

**ნაპირსამაგრი** სამუშაოების დროს წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების (მაგ. ზეთებით დაბინძურებული ჩვრები, და სხვ.) რაოდენობა იქნება უმნიშვნელო. შესაბამისად, ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება საჭირო არ არის. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ტერიტორიის ფარგლებში გრუნტის დაბინძურება მოსალოდნელია მხოლოდ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში: ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის ან ზეთების ჟონვის შემთხვევაში და საყოფაცხოვრებო ნარჩენების არასწორი მართვის შემთხვევაში.

სამშენებლო ტექნიკას უნდა ჰქონდეს გავლილი ტექდათვალიერება, რათა არ მოხდეს მიდამოს გაჭუჭყიანება ზეთებითა და საპოხი საშუალებებით. სახიფათო ნარჩენების (მაგ. ზეთებით დაბინძურებული ჩვრები, და სხვ.) რაოდენობა იქნება უმნიშვნელო. შესაბამისად, ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება საჭირო არ არის.

საქმიანობის პროცესში არასამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მათი მართვის პროცესში უნდა გამოიყოს დროებითი დასაწყობების დაცული ადგილები.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება შესაბამის კონტეინერებში. ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობება მოხდება სამშენებლო მოედანზე ცალკე გამოყოფილ სათავსოში. სამუშაოების დასრულების შემდომ, სახიფათო ნარჩენები გადაეცემა იურიდიულ

პირს, რომელსაც ექნება ნებართვა ამ სახის ნარჩენების გაუვნებელყოფაზე. სამუშაოების დასრულების შემდგომ, ტერიტორიები მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა. ამდენად, რაიმე სახის კუმულაციური ზემოქმედება გარემოზე მოსალოდნელი არ არის.

**გარემოზე უარყოფითი** ზემოქმედების ფაქტორებიდან აღსანიშნავია ატმოსფერული ჰაერის უმნიშვნელო დაბინძურება.

ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში, ატმოსფერულ ჰაერზე ზეგავლენა მოსალოდნელია მხოლოდ მოძრავი წყაროებიდან, კერძოდ გამოყენებული ტექნიკის ძრავების მუშაობით გამოწვეული გამონახოლქვებით, რაც არსებით ზემოქმედებას არ მოახდენს ფონურ მდგომარეობაზე;

არსებულ პირობებში დაგეგმილი სამუშაოები მნიშვნელოვნად ვერ შეცვლის ფონურ მდგომარეობას. პროექტის განხორციელებისას ემისიების სტაციონალური ობიექტები გამოყენებული არ იქნება. ზემოქმედების წყაროები წარმოდგენილი იქნება მხოლოდ სამშენებლო ტექნიკით, რომლებიც იმუშავებენ მონაცვლეობით. ჰაერში CO<sub>2</sub>-ის გაფრქვევა მოხდება სამშენებლო ტექნიკის მუშაობის შედეგად.

ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოხდება ინერტული მასალების მართვის პროცესში. აღსანიშნავია, ისიც, რომ სამუშაოები გაგრძელდება მხოლოდ შეზღუდული დროის განმავლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელების მშენებლობის ეტაპი ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ნეგატიურ ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

**საპროექტო ტერიტორიაზე ხმაურის** გავრცელების ძირითადი წყაროა სამშენებლო ტექნიკა. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ხმაურის წყაროები შეწყდება.

სამშენებლო ტექნიკის მუშაობა რეგლამენტირებული იქნება დღის სამუშაო დროთ და ფიზიკურად არავითარ ზემოქმედებას არ მოახდენს ადამიანების ჯანმრთელობაზე.

ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე არ იქმნება საამშენებლო ბანაკი. სამუშაოების ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკა, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდება შერჩეული დისლოკაციის ადგილს.

**დაგეგმილი** პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების პროცესში და ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, საქმიანობასთან დაკავშირებული ავარიის ან/და კატასტროფის რისკი არ არსებობს. პირიქით, ეს ღონისძიება განაპირობებს მიმდებარე ტერიტორიების დაცვას წყლისმიერი აგრესიისგან.

საწარმოს სასმელი წყლით მომარაგება განხორციელდება ჩამოსხმული (ბუტილიზირებული) წყლის მეშვეობით.

სამეურნეო წყლები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში და მოეწყობა 2 ბიო ტუალეტი, ან დასაქმებულებს მშენებელ-კონტრაქტორის მიერ ნაქირავები ან/და კერძო საკუთრებაში არსებული საოფისე-საცხოვრებელი სახლების ტუალეტები მოემსახურება (აღნიშნული გადაწყდება მშენებელ-კონტრაქტორის მიერ).

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებები ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პერიოდში არ მოხდება. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიება გარემოსდაცვითი ფუნქციის მატარებელია.

#### 4. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:

საპროექტო უბნიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორება 30- მეტრამდეა.

#### გეოგრაფიული კოორდინატები:

საპროექტო ობიექტის გეოგრაფიული კოორდინატები:

დასახელება	დასაწყისი	დასასრული
#1 მილი	X:471567, Y: 4658566,	X 471522 Y: 4658509
#2 მილი	X:471442, Y:4658530,	X 471518 Y: 4658506.

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზალეთში მდებარეობს არქიტექტურული ძეგლი “ბაზალეთის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია” (რეგისტრაციის ნომერი #6652 კოორდინატები X: 471071.00 Y: 4658364.00) რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 440 მეტრით.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიახლოვეს არ არის სხვა სენსიტურ ობიექტებთან.

#### დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი სიახლოვეს არ არის:

- ჭარბტენიან ტერიტორიებთან;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
- ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
- დაცულ ტერიტორიებთან;

საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის ალბათობა თითქმის არ არსებობს.

სამშენებლო ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების, ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის შესაბამის სამსახურს.

## 5 საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი

საპროექტო სამუშაოების ჩატარებას არ გააჩნია ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება; საპროექტო ობიექტზე სამუშაოების განხორციელებისას არ ხდება გარემოზე მაღალი ხარისხის ან/და კომპლექსური ზემოქმედება.

აღნიშნული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები, რომელიც დროის მოკლე მონაკვეთში გაგრძელდება, მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენს ვიზუალურ-ლანდშაფტურ მდგომარეობაზე.

ფონური მდგომარეობით, არ არსებობს მნიშვნელოვანი ზემოქმედება ნიადაგოვან და მცენარეულ საფარზე.

ასევე, არ არის ცხოველთა სამყაროზე კუმულაციური ზემოქმედების რისკები.

საერთო ჯამში, კუმულაციური ზემოქმედების მნიშვნელობა იქნება დაბალი. პროექტის დასრულების შემდგომ, ზემოთ განხილული კუმულაციური ზემოქმედების რისკები აღარ იარსებებს.

შეიძლება ითქვას - პროექტის დასრულების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება რეაბილიტირებული საპროექტო მონაკვეთის არსებული მდგომარეობა. პროექტის განხორციელება დადებით ზემოქმედებას მოახდენს ლანდშაფტურ გარემოზე.

თუ გავითვალისწინებთ ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკას და მოცულობებს, ცალსახაა, რომ პროექტი არ ხასიათდება ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მომატებული რისკებით. ამ მხრივ, საქმიანობა არ განსხვავდება მსგავს ინფრასტრუქტურული პროექტებისგან. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მუშა პერსონალის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოების რისკები შეიძლება უკავშირდებოდეს დაწესებული რეგლამენტის დარღვევას (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ან/და ტექნიკის არასწორი მართვა, მუშაობა უსაფრთხოების მოთხოვნების უგულვებელყოფით და ა.შ.). სამუშაოების მიმდინარეობას გააკონტროლებს ზედამხედველი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხოების ნორმების შესრულებაზე. ზედამხედველის მიერ ინტენსიური მონიტორინგი განხორციელდება რისკების მატარებელი სამუშაოების შესრულებისას. სამუშაო უბანი იქნება შემოზღუდული და მაქსიმალურად დაცული გარეშე პირების მოხვედრისაგან.

დაგეგმილი საპროექტო საქმიანობა არ ითვალისწინებს გარემოზე სხვა მნიშვნელოვან ზემოქმედებას. გათვალისწინებული არ არის დიდი რაოდენობით ხანძარსაშიში, ფეთქებადსაშიში და პოტენციურად დამაბინძურებელი თხევადი ნივთიერებების შენახვა-გამოყენება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფების რისკები მოსალოდნელი არ არის.

მშენებლობაზე ძირითადად დასაქმდება 10 ადამიანი. მშენებლობის ხალგრძლივობა 3 თვე.

ნაპირის გამაგრება დადებით გავლენას მოახდენს სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

## ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე

პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინერტულ მასალად გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტში არსებული ლიცენზირებული კარიერები ზიდვის მანძილი დაახლოებით 20 კმ.

ინერტული მასალის მოსაზიდად გამოყენებული იქნება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დუშეთი-მჭადიჯვარი-ოძისის საავტომობილო გზა.

პროექტის დაწყებიდან ინერტული მასალის მოზიდვა განხორციელდება 30 დღის მანძილზე და ინერტული მასალის შემოსაზიდად დღიურად საჭირო იქნება დაახლოებით 4 რეისის განხორციელება ავტოთვითმცლელით.

საპროექტო სამუშაოებისათვის საჭირო ინერტული მასალის საერთო რაოდენობა არის 2300მ<sup>3</sup>.

სატრანსპორტო ნაკადზე მოსალოდნელია შემდეგი ზემოქმედება,

- სატრანსპორტო ნაკადების გადატვირთვა;
- გადაადგილების შეზღუდვა;
- ავტოსაგზაო შემთხვევების რისკები.

სატრანსპორტო ნაკადზე ზემოქმედების შესამცირებლად მოხდება სატრანსპორტო ოპერაციებისას უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვა, სიჩქარეების შეზღუდვა - ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე სამუშაოთა წარმოების ადგილთან არ გადააჭარბებს სწორ უბნებზე 10 კმ/სთ, ხოლო მოსახვევებზე - 5 კმ/სთ.

აგრეთვე გატარდება შემარბილებელი შემდეგი ღონისძიებები;

- მაქსიმალურად შეიზღუდება მუხლუხიანი ტექნიკის გადაადგილება;
- სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას საჭიროების შემთხვევაში გააკონტროლებს მედროშე;
- განთავსდება შესაბამისი საინფორმაციო და გამაფრთხილებელი ნიშნები;
- მოსახლეობისთვის და მგზავრებისთვის მიწოდებული იქნება ინფორმაცია სამუშაოების წარმოების დროის და პერიოდის შესახებ;

საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში მოხდება მათი დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.

ისიც, რომ სამუშაოები გაგრძელდება მხოლოდ შეზღუდული დროის განმავლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელების მშენებლობის ეტაპი ინერტული მასალის ტრანსპორტირება, სატრანსპორტო ნაკადზე მნიშვნელოვან ნეგატიურ ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემდეგ მოსალოდნელია ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე იქნება „უმნიშვნელო“.

## ხმაურის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედება

საქართველოში ხმაურის გავრცელების დონეები რეგულირდება ნორმატიული დოკუმენტით სანიტარული ნორმები 2.2.4/2.1.8 003/004-01 „ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე“. ხმაურის დონე არ უნდა აღემატებოდეს ამ სტანდარტით დადგენილ სიდიდეებს.

ხმაურთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები

ზემოქმედების სახე	შეფასების კრიტერიუმები		
	მნიშვნელოვანი (მაღალი) ზემოქმედება	საშუალო მნიშვნელობის ზემოქმედება	ნაკლებად მნიშვნელოვანი (დაბალი) ზემოქმედება
ხმაურის გავრცელება	ხმაურის დონეები დასახლებული პუნქტის საზღვარზე აღემატება დღის საათებში - 55 დბა-ს, ღამის საათებში - 45 დბა-ს. ან სენსიტიურ რეცეპტორებთან აღემატება დღის საათებში - 50 დბა-ს, ღამის საათებში - 40 დბა-ს. ხმაურის ნორმებზე გადაჭარბება ინტენსიურია. მოსახლეობის უკმაყოფილება გარდაუვალა.	ხმაურის დონეები დასახლებული პუნქტის საზღვარზე მცირედით აღემატება დღის საათებში - 55 დბა-ს, ღამის საათებში - 45 დბა-ს. თუმცა ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში ან დროებითია. სენსიტიურ რეცეპტორებთან ხმაურის დონეები დასაშვებია, თუმცა რეკომენდირებულია დამატებითი პრევენციული ღონისძიებების გატარება.	ხმაურის ფონური დონეები მცირედით გაუარესდა დასახლებული პუნქტის ან სენსიტიური რეცეპტორების სიახლოვეს. ნებისმიერ შემთხვევაში დაშვებულ ნორმებზე გადაჭარბება მასალოდნელი არ არის. სტანდარტული შერბილების ღონისძიებების გატარება საკმარისია.
ვიბრაცია	მძიმე ტექნიკის და სხვა მეთოდების გამოყენების გამო ვიბრაცია ვრცელდება შორ მანძილზე. არსებობს შენობა-ნაგებობების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების ან გეოლოგიური სტაბილურობის დარღვევის ალბათობა.	ვიბრაცია შორ მანძილზე არ ვრცელდება ან ზემოქმედება მოკლევადიანია. შენობა-ნაგებობების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების ან გეოლოგიური სტაბილურობის დარღვევის ალბათობა ძალზედ მცირეა. მოსალოდნელია მცირე და პერიოდული დისკომფორტი.	ვიბრაცია ვრცელდება მხოლოდ სამუშაო ზონაში. შენობა-ნაგებობების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანება ან გეოლოგიური სტაბილურობის დარღვევა მოსალოდნელი არ არის. დამატებითი შერბილების ღონისძიებების გატარება საჭირო არ არის.
მდგომარეობა სამუშაო ზონაში (ხმაური და ვიბრაცია)	მუშაობა გაუსაძლისია. ყურსაცმების და სხვა დამცავი საშუალებების გამოყენება ნაკლებად ეფექტურია. საჭიროა მომსახურე პერსონალის ხშირი ცვლა.	სამუშაო ზონაში ხმაური და ვიბრაცია შემაწუხებელია. თუმცა შესაბამისი დამცავი საშუალებების და სხვა ღონისძიებების (მაგ. მუშაობის ხანგრძლივობის შეკვეცა, ყურსაცმების გამოყენება და სხვ.) გატარების პირობებში მუშაობა დასაშვებია.	სამუშაო ზონაში ხმაურის და ვიბრაციის დონეები არ არის მაღალი. დამცავი საშუალებების გამოყენება საჭირო არ არის ან საჭიროა მხოლოდ მოკლე პერიოდით. დასაშვებია 8 საათიანი სამუშაო ხანგრძლივობა.



## მშენებლობის ეტაპი

სამშენებლო სამუშაოები იმოქმედებს ფონური ხმაურის დონეზე. მოსალოდნელი ზემოქმედების განსაზღვრისათვის ხმაურის გავრცელების გაანგარიშებები ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- განისაზღვრება ხმაურის წყაროები და მათი მახასიათებლები;
- შეირჩევა საანგარიშო წერტილები დასაცავი ტერიტორიის საზღვარზე;
- განისაზღვრება ხმაურის მოსალოდნელი დონე საანგარიშო წერტილებში და ხდება მისი შედარება ხმაურის დასაშვებ დონესთან;
- საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვრება ხმაურის დონის საჭირო შემცირების ღონისძიებები.

ხმაურის ძირითად წყაროებად ჩაითვალა გამწმენდი სამშენებლო მოედანზე მოქმედი ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები, კერძოდ, გაანგარიშებისას დაშვებული იქნა, რომ მოედანზე ერთდროულად იმუშავებს: ბულდოზერი, რომლის ხმაურის დონე შეადგენს 82 დბა-ს, 2 სატვირთო ავტომობილი (თითოეულის 85 დბა) და ექსკავატორი (88 დბა).

საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეები, გაიანგარიშება ფორმულით:

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \frac{\beta_a r}{1000} - 10 \lg \Omega, \quad (1)$$

სადაც,

$L_p$  – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე;

$\Phi$  – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

$r$  – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

$\Omega$  – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება:  $\Omega = 4\pi$ -სივრცეში განთავსებისას;  $\Omega = 2\pi$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას;  $\Omega = \pi$  - ორ წიბოიან კუთხეში;  $\Omega = \pi/2$  – სამ წიბოიან კუთხეში;

$\beta_a$  – ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები, Hჰც.	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
$\beta_a$ დბ/კმ	0	0.3	1.1	2.8	5.2	9.6	25	83

ხმაურის წარმოქმნის უბანზე ხმაურის წყაროების დონეების შეჯამება ხდება ფორმულით:

$$10\lg \sum_{i=1}^n 10^{0,1L_{pi}} \quad (2)$$

სადაც:  $L_{pi}$  – არის  $i$ -ური ხმაურის წყაროს სიმძლავრე.

გათვლების შესასრულებლად გაკეთებულია შემდეგი დაშვებები:

თუ ერთ სამრეწველო უბანზე განლაგებულ რამდენიმე ხმაურის წყაროს შორის მანძილი გაცილებით ნაკლებია საანგარიშო წერტილამდე მანძილისა, წყაროები გაერთიანებულია

ერთ ჯგუფში. მათი ჯამური ხმაურის დონე დათვლილია ფორმულით:  $10\lg \sum_{i=1}^n 10^{0,1L_{pi}}$  ;

ერთ ჯგუფში გაერთიანებული წყაროების ხმაურის ჯამური დონის გავრცელების შესაფასებლად საანგარიშო წერტილამდე მანძილად აღებულია მათი გეომეტრიული ცენტრიდან დაშორება.

საანგარიშო წერტილად შერჩეული იქნა უახლოესი საცხოვრებელი სახლი შესაბამისად გაანგარიშება შესრულებულია 30 მ დაშორების გათვალისწინებით.

სიმარტივისთვის გათვლები შესრულებულია ბგერის ექვივალენტური დონეებისთვის (დბა) და ატმოსფეროში ბგერის ჩაქრობის კოეფიციენტად აღებულია მისი ოქტავური მაჩვენებლების გასაშუალოებული სიდიდე:  $\beta_{\text{საშ}}=10.5$  დბ/კმ;

მონაცემების მე-2 ფორმულაში ჩასმით მივიღებთ ხმაურის შეჯამებულ დონეს სამშენებლო მოედნის საზღვრებში:

$$10\lg \sum_{i=1}^n 10^{0,1L_{pi}} = 10\lg (100,1 \times 82 + 100,1 \times 85 + 100,1 \times 85 + 100,1 \times 88) = 88,65 \text{ დბ.}$$

მონაცემების 1-ელ ფორმულაში ჩასმით შესაბამისად ხმაურის დონე საანგარიშო წერტილში იქნება:

$$L = L_p - 15\lg r + 10\lg \Phi - \frac{\beta_a r}{1000} - 10\lg \Omega, = 54 \text{ დბ.}$$

სახლი აღმოსავლეთით (დაშორება 30 მ):

გაანგარიშება ჩატარებულია ჩამოთვლილი მანქანა-მოწყობილობის ერთდროული მუშაობის შემთხვევისთვის, ხმაურის მინიმალური ეკრანირების გათვალისწინებით (ანუ ყველაზე უარესი სცენარი).

როგორც გაანგარიშებამ აჩვენა მშენებლობის პროცესში, ხმაურის ნორმირებულ დონეებზე გადაჭარბებას ადგილი არ ექნება (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N398 დადგენილება). თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N398 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეგლამენტი არ ვრცელდება დღის საათებში მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე.

ცხრილი. ხმაურის გავრცელების გაანგარიშების შედეგები

უბანი	ძირითადი მომუშავე მანქანა-მოწყობილობები	ხმაურის ექვივალენტური დონე გენერაციის ადგილზე, დბა	მანძილი უახლოეს რეცეპტ-მდე, მ	ხმაურის ექვივალენტური დონე უახლოეს რეცეპტორთან, დბა	ნორმა <sup>1</sup>
სამშენებლო მოედნის ტერიტორია	<ul style="list-style-type: none"> <li>• ამწე</li> <li>• ავტოთვიომცლი</li> <li>• ექსკავატორი</li> <li>• ბულდოზერი</li> </ul>	88.65	30	54	დღის საათებში - 55 დბა. ღამის საათებში - 45 დბა-

ხმაურის გავრცელების შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- სამშენებლო მოედანსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლებს შორის წარმოდგენილია ბეტონის კედელი ასევე აღსანიშნავია რელიეფური პირობები და მცირე ჰიფსომეტრიული სხვაობაც. ამ ფაქტორების გათვალისწინებით ხმაურის დონე საანგარიშო წერტილებში მინიმუმ 5 დბ-ით დაიკლებს;
- ხმაურის ყველა წყაროს ერთდროული მაქსიმალური დატვირთვით მუშაობა მოხდება იშვიათ შემთხვევებში. სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში.

**შემარბილებელი ღონისძიებები**

ხმაურის გავრცელების დონეების მინიმიზაციის მიზნით მშენებლობის ეტაპზე მიზანშეწონილია გატარდეს შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- ხმაურიანი სამუშაოების წარმოება მხოლოდ დღის საათებში;
- საჭიროების შემთხვევაში პერსონალის უზრუნველყოფა დაცვის საშუალებებით (ყურსაცმები);
- საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში მათი დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.

1 სანიტარული ნორმები "ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსოებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე"

## ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზალეთში მდებარეობს არქიტექტურული ძეგლი „ბაზალეთის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია“ (რეგისტრაციის ნომერი #6652 კოორდინატები X: 471071.00 Y: 4658364.00) რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 440 მეტრით.

საქართველოს კანონის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ 36-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად „ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არელებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით“.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულია განმარტება ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალის შესახებ, კერძოდ: „ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი არის ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, სადაც ნებისმიერმა ქმედებამ შესაძლოა ფიზიკურად დააზიანოს ძეგლი ან მისი მიმდებარე ტერიტორია. ფიზიკური დაცვის არეალი განისაზღვრება შემდეგი მანძილით – ძეგლის სიმაღლე გამრავლებული 2-ზე, მაგრამ არანაკლებ 50 მეტრის რადიუსით“, ხოლო მე-4 პუნქტში განმარტებულია ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალის მნიშვნელობა: „ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალი განისაზღვრება:

- ა) ძეგლებისათვის – 300 მეტრის რადიუსით;
- ბ) ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებისათვის – 500 მეტრის რადიუსით;
- გ) მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლებისათვის – 1000 მეტრის რადიუსით“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ „ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია“ არის არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და მისთვის განსაზღვრული ვიზუალური დაცვის არეალი არის არაუმეტეს 300-მეტრიანი რადიუსი (საპროექტო უბნიდან), ხოლო ძეგლი მდებარეობს საპროექტო არეალიდან 440 მეტრში, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები გავლენას ვერ იქონიებს აღნიშნულ ძეგლზე.

ასევე, გასათვალისწინებელია დაგეგმილი სამუშაოების მცირე მასშტაბი და ის ფაქტი რომ ძეგლი მდებარეობს უფრო მაღალ ნიშნულზე და შესაბამისად არსებობს დონეთა სხვაობა საპროექტო არეალსა და ძეგლს შორის.

## ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ტყეს მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვს პირვანდელი სახე; თუმცა, აშკარაა ანთროპოგენული გავლენა - ხეების ჭრა, საქონლის მოვება. ტყე ძირითადად წარმოდგენილია კარგად განვითარებული ხეებით და ბუჩქებით, როგორცაა: წიფელი (*Fagus orientalis*), ქართული მუხა (*Quercus iterica*), ნეკერჩხალი (*Acer campestre*), შვინდი (*Cornus mas*), აკაკი (*Celtis caucasica*), ცაცხვი (*Tilia caucasica*), რცხილა (*Carpinus caucasicus*), მაჟალო (*Malus orientalis*), პანტა (*Pyrus caucasicus*), ზღმარტლი (*Mespilus germanica*), კუნელი (*Crataegus monagyna* და *C. pentagyna*), ძახველი (*Viburnum opulus*) და სხვ. ბალახეული მცენარეებიდან აღსანიშნავია შროშანა (*Convallaria trancaucasica*), იორდასალამა (*Paeonia*), სვინტროს სახეობები - (*Polugonatum glaberinum*, *P. Multiflorum*) და სხვ.

საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში წარმოდგენილია ძირითადად ჭალის მცენარეულობა, ტირიფი, და თხმელა. ტერიტორიაზე დაფიქსირებული მცენარეული საფარი ძირითადად წარმოდგენილია 8 სმ-ზე დაბალი დიამეტრის მქონე მცენარეულობით. დაგეგმილი საქმიანობის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე 8 სმ-ზე მაღალი დიამეტრის მქონე ხეების ჭრა მოსალოდნელი არ არის, რაც ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებას პრაქტიკულად მინიმუმადე ამცირებს.

## ცხოველთა სამყარო

მაღალი ანთროპოგენური დატვირთვა და მცენარეული საფარის სიმწირის გამო საპროექტო არეალი ძალზედ ღარიბია ცხოველთა სახეობების მხრივ. აქ ფიქსირდება მხოლოდ ადამიანის სამეურნეო საქმიანობას ადვილად შეგუებადი ფრინველთა და ქვეწარმავალთა წარმომადგენლები. პრაქტიკულად გამორიცხულია ტერიტორიაზე მაღალი ეკოლოგიური ღირებულების სახეობების მოხვედრის ალბათობა.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ პროექტის განხორციელების შედეგად რეგიონში მობინადრე ცხოველებზე ზემოქმედების რისკები მინიმალურია. პროექტის განხორციელება ვერ გამოიწვევს რომელიმე სახეობისთვის მნიშვნელოვანი საბინადრო ადგილების მოშლას.

იქტიოფაუნაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის ვინაიდან საპროექტო უსახელო ხეებში იქტიოფაუნის და წყალში მობინადრე სახეობის არსებობა არასოდეს დაფიქსირებულა.

**შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე ზემოქმედება.** საპროექტო ტერიტორიები ხასიათდება შესამჩნევი ანთროპოგენური დატვირთვით. აღნიშნული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები, რომელიც მხოლოდ 3 თვის განმავლობაში გაგრძელდება, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ მოახდენს ვიზუალურ-ლანდშაფტურ მდგომარეობაზე. პროექტის განხორციელება ცალსახად დადებით ზემოქმედებას მოახდენს ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე,

ასევე, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების პერიოდში არ იქნება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე უარყოფითი ზემოქმედება.

### **საკვლევი უბნის ბუნებრივი მახასიათებლები**

სოფელ ბაზალეთში არსებული უსახელო ხევი სათავეს იღებს ლომისის ქედის სამხრეთ დაბოლოების წინამთებში, სოფელ ბაზალეთის ჩრდილოეთით 1,3 კმ-ში 1212 მეტრის სიმაღლეზე და ერთვის მდ. ხინათ-ხევს მარცხენა მხრიდან 910 მეტრის სიმაღლეზე. უსახელო ხევის სიგრძე სოფელ ბაზალეთში მოსაწყობი ნაპირგამაგრების უბნის ბოლო, ქვედა კვეთამდე 2,02 კმ, საერთო ვარდნა 247 მეტრი, საშუალო ქანობი 122%ი, წყალშემკრები აუზის ფართობი კი 1,57 კმ<sup>2</sup>-ია. საპროექტო უბანზე ხევს გააჩნია მარჯვენა, ასევე მშრალი უსახელო შენაკადი, რომელზეც ასევე გათვალისწინებულია ნაპირგამაგრების მოწყობა. აღნიშნული ხევის სიგრძე სათავიდან უსახელო ხევთან შეერთების, ანუ ნაპირგამაგრების უბნის ქვედა კვეთამდე 1,60, საერთო ვარდნა 230 მეტრი საშუალო ქანობი 144%ი, წყალშემკრები აუზის ფართობი კი 0,39 კმ<sup>2</sup>-ია.

აღნიშნული ხევის წყალშემკრები აუზები მხედარეობენ ლომისის ქედის სამხრეთ დაბოლოების სამხრეთ ფერდობზე. მათი წყალშემკრები აუზის წყალგამყოფის ნიშნულები იცვლება 1025-დან 1268 მეტრამდე. აუზის რელიეფი სუსტად დანაწევრებულ წინამთის ზონას წარმოადგენს. მის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ ქვიშაქვები, კირქვები, ბაზალტები და კონგლომერატები. ძირითადი ქანები გადაფარულია ყომრალი ნიადაგებით. აუზის მცენარეული საფარი 1150 მეტრზე მაღლა წარმოდგენილია ხშირი ფოთლოვანი ტყით. სოფელ ბაზალეთის მიმდებარე ტერიტორია კი ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით.

ხევის მაღალი ქანობის მქონე კალაპოტები ზომიერად კლავილი და დაუტოტავია. ხევის კალაპოტში წყალი ჩნდება მხოლოდ თოვლის დნობისა და ინტენსიური წვიმების პერიოდში. წლის ხანგრძლივი დროის მანძილზე ხევი მშრალია.

**(გთხოვთ იხილეთ დანართი 1 ჰიდროლოგიური ანგარიში)**

### **საკვლევი უბნის საინჟინრო გეოლოგია**

გეოტექტონიკური თვალსაზრისით რაიონი მიეკუთვნება საქართველოს ბელტის დაძირვის აღმოსავლეთის (მოლასური) ზონის მუხრან-ტირიფონის ქვეზონას. ლითოლოგიურად ის აგებულია ნეოგენური ასაკის (N1მ-N2პ) კონგლომერატებით, ქვიშაქვებით და თიხებით, რომლებიც გადაფარულია დელუვიურ-პროლუვიურ-ტბიური წარმოშობის ნალექებით.

ნორმატიული დოკუმენტის „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პ501.01-09) მიხედვით რაიონი მიეკუთვნება მიწისძვრების 8 ბალიან ზონას. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი  $A=0.15-0.17$ .

საქართველოს საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი რაიონი მიეკუთვნება საქართველოს ბელტის დაძირვის აღმოსავლეთის (მოლასური) ზონის საინჟინრო-გეოლოგიური ოლქის ნეოგენური ასაკის, ნახევრადკლდოვანი და პლასტიური, ზღვიური და კონტინენტალური, მოლასური ნალექების საინჟინრო-გეოლოგიური რაიონს,

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი რაიონი მიეკუთვნება საქართველოს არტეზიული აუზების ჰიდროგეოლოგიური ოლქის ფოროვანი, ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლებისქართლის არტერიული აუზის ჰიდროგეოლოგიურ რაიონს

### საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

#### საკვლევი უბნის ფარგლებში გავრცელებული გრუნტების დახასიათება

ხევების ფორმირების ფარგლებში ჩატარებული გეოლოგიური და ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემების საფუძველზე გამოიყოფა შემდეგი ფენები – საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები (სგე):

სგე 1 – კენჭი და ხრეში, კაჭრების ჩანართებით (20-25%), ქვიშის შემავსებლით, სუსტად ტენიანი. სიმძლავრე ცვალებადობს 1.00\_1.10 მ-ის ფარგლებში. გრუნტის ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობები ასეთია: მოცულობითი წონა  $\rho=2.00$  გ/სმ<sup>3</sup>; პირობითი საანგარიშო წინააღმდეგობა  $\sigma_0=4.00$  კგ/სმ<sup>2</sup>; დეფორმაციის მოდული  $E=400$  კგ/სმ<sup>2</sup>; ხვედრითი შეჭიდულობა  $\beta=0.06$  კგ/სმ<sup>2</sup>; შინაგანი ხახუნის კუთხე  $\varphi=42.00$ ; პუნქტი დამუშავების სირთულის მიხედვით – 3\_6/გ; კატეგორია IV.

სგე 2 – თიხნარი, ყავისფერი, ნახევრად მყარი, ხრეშის 10%-მდე ჩანართებით. სიმძლავრე ცვალებადობს 1.20\_1.90 მ-ის ფარგლებში. გრუნტის ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობები ასეთია: მოცულობითი წონა  $\rho=2.00$  გ/სმ<sup>3</sup>; შინაგანი ხახუნის კუთხე  $\varphi=21.30$ ; ხვედრითი შეჭიდულობა  $\beta=0.23$  კგ/სმ<sup>2</sup>; კონსისტენციის კოეფიციენტი  $I_{\text{ლ}}=+0.11$ ; პირობითი საანგარიშო წინააღმდეგობა  $\sigma_0=2.70$  კგ/სმ<sup>2</sup>; დეფორმაციის მოდული  $E=245$  კგ/სმ<sup>2</sup>; პუნქტი დამუშავების სირთულის მიხედვით 3\_33/ვ; კატეგორია III.

სგე 3 – კონგლომერატი, თიხის ცემენტზე, ქვიშაქვის იშვიათი შუაშრეებით. სიმძლავრე დაძიებულ სიღრმემდე ცვალებადობს 1.10\_1.70 მ-ის ფარგლებში. გრუნტის ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობები ასეთია: მოცულობითი წონა  $\rho=2.10$  გ/სმ<sup>3</sup>; პირობითი საანგარიშო წინააღმდეგობა  $\sigma_0=10.00$  კგ/სმ<sup>2</sup>; დეფორმაციის მოდული  $E=500$  კგ/სმ<sup>2</sup>; ხვედრითი შეჭიდულობა  $\beta=5.00$  კგ/სმ<sup>2</sup>; შინაგანი ხახუნის კუთხე  $\varphi=32.00$ ; პუნქტი დამუშავების სირთულის მიხედვით – 3\_17/ა; კატეგორია V.

(გთხოვთ იხილეთ დანართი 2 გეოლოგიური ანგარიში)

## 6. საპროექტო ღონისძიებები.

ავარიული უბანი მდებარეობს სოფ. ბაზალეთის ტერიტორიის ფარგლებში, უსახელო ხევების ნაპირზე. ხევში წყალმოვარდნებმა გამოიწვია გვერდითი ეროზიული პროცესების გააქტიურება, რაც საშიშროებას უქმნის სოფლის გზებს, ადგილობრივი მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებს და საცხოვრებელ სახლებს. საპროექტო უბანი მოიცავს ორ ხევს, რომელიც ერთდებიან ასევე საპროექტო უბნის ფარგლებში.

პირველი ხევის დასაწყისის კოორდინატებია X:471567, Y: 4658566, დასასრული X 471522 Y: 4658509

ხოლო მეორე ხევის დასაწყისი X:471442, Y:4658530, დასასრული X 471518 Y: 4658506.

ხევების გასატარებლად ადგილობრივ გზებზე მოწყობილია ანაკრები კონსტრუქციის რკინაბეტონის მილები. არსებულ მილებს არ აქვთ მოწყობილი სათავისები და დაზიანებული მილის ტანი. წყალგამტარი მილების ამოვსებული საყოფაცხოვრებო ნაგავით.

წყალმოვარდნისგან ეროზირებულია პირველი ხევის მარჯვენა ნაპირი. #1 ხევის მარცენა ნაპირზე დაზიანებული ადგილობრივი მოსახლის ეზოს ღობე.

### საპროექტო გადაწყვეტილება

საპროექტო გადასწყვეტილება გულისხმობს არსებულ ადგილობრივ გზაზე, საპროექტო ხევების გასატარებლად მონოლითური რკინაბეტონის წყალგამტარი მილების მოწყობა, კვეთით 2.0მX1.5მ-ზე. #2 ხევზე წყალგამტარი მილის გამოსასვლელში გათვალისწინებულია გაბიონის ყუთების მოწყობა. პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე, პირველ ხევზე მონოლითური რკინაბეტონის არხის მოწყობას, კვეთისთ 3X3მ, და კედლების სიქით 0.4მ. საპროექტო ხევის #1 და #2 გაერთიანების შემდგომ არხის კვეთი შეადგენს 3მX5მ-ზე. მონოლითური რკინაბეტონის არხი ეწყობა აგრეთვე მეორე ხევის, პირველ ხევთან მიერთების ფარგლებში. გრძივ პროფილზე საპროექტო არხები წყობა საფეხურებრივად, ქანობით 3%.

პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს სოფლის მოსახლეობისთვის საქვეითო გადასასვლელების და კიბეების მოწყობას საპროექტო არხის გადასალახად.

#2 ხევზე აგრეთვე გათვალისწინებულია კალაპოტის გაწმენდა 8 სმ-ზე დაბალი დიამეტრის მქონე მცენარეებისგან და გასუბთავება საყოფაცხოვრებო ნაგვისგან, სიგრძეზე 8მ.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მშენებლობის დასრულების შემდგომ არსებული სოფლის გზის აღდგენა მოხრეშვით. პროექტი ფარგლებში აგრეთვე გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლის ეზოს ღობის მოწყობა.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გამოყენებული იქნება ადგილობრივი არსებული გზები.



ცხრილი სამშენებლო სამუშაოების მოცულობათა უწყისი

N 1	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდენობა	შენიშვნა
1	არსებული ანაკრები კონსტრუქციის №2 რკინაბეტონის მილის დემონტაჟი - არსებული ლითონის ბადის ღობის დროებითი დემონტაჟი, და დასაწყობება შემდგომი გამოყენებისთვის	გრძ.მ	10	6გ
2	№1 ხევის მიმდებარედ, ადგილობრივი მოსახლის ღობის დემონტაჟი - ღობის ხის ნაწილის დემონტაჟი ხელით და ადგილზე დასაწყობება	გრძ.მ/მ	45/2	
3	№1 საპროექტო მონოლითური რკინაბეტონის მილის მოწყობა	გრძ.მ	7	
4	№2 საპროექტო მონოლითური რკინაბეტონის მილის მოწყობა	გრძ.მ	7	
5	მონოლითური რკინაბეტონის საპროექტო არხის მოწყობა №1 ხევზე (სექცია 1,2,3,4,5,6,7,8)			
6	მონოლითური რკინაბეტონის საპროექტო არხის მოწყობა №2 ხევზე (სექცია 9,10)			
7	№1 ხევზე საპროექტო ქვეითა გადასხვევლის მოწყობა	გრძ.მ	5.8	
8	№1 საპროექტო მონოლითური რკინაბეტონის კიბის მოწყობა			
9	№2 საპროექტო მონოლითური რკინაბეტონის კიბის მოწყობა			
10	საპროექტო არხის და კიბეების კედლებზე ლითონის კონსტრუქციის მოაჯირის მოწყობა წინასწარ მომზადებულ ჩასატანებელ დეტალებზე - ლითონის სექციების დამზადება ბაზაზე, ტრანსპორტირება და მონტაჟი შედუღებით	გრძ.მ/ც	122/61	
11	№2 წყალგამტარ მილთან, ადრედემონტირებული ლითონის ბადის ღობის აღდგენა	გრძ.მ	10	
12	№1 ხევის მიმდებარედ, ადგილობრივი მოსახლის ეზოს ღობის აღდგენა	გრძ.მ	45	

მოსამზადებელი სამუშაოები და მშენებლობის ორგანიზაცია

მოსამზადებელი სამუშაოები გულისხმობს ტექნიკის და საჭირო სამშენებლო მასალების მობილიზებას ტერიტორიაზე. ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები განლაგდება სამუშაო ტერიტორიაზე. პროექტის მცირე მასშტაბების გათვალისწინებით სამშენებლო ბანაკის და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების წარმოქმნა არ მოხდება.

საწარმოს სასმელი წყლით მომარაგება განხორციელდება ჩამოსხმული(ბუტილიზირებული) წყლის მეშვეობით.

სამეურნეო წყლები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში და მოეწეობა 2 ბიო ტუალეტი, ან დასაქმებულებს მშენებელ-კონტრაქტორის მიერ ნაქირავები ან/და კერძო საკუთრებაში არსებული საოფისე-საცხოვრებელი სახლების ტუალეტები მოემსახურება (აღნიშნული გადაწყდება მშენებელ-კონტრაქტორის მიერ).

ძირითადი სამშენებლო მექანიზმების ჩამონათვალი

	სამშენებლო მანქანა-მექანიზმები	რაოდენობა
1	ავტოთვითმცლელი	4
2	ბულდოზერი	1
3	ექსკავატორი	1
4	ამწე	2

სამუშაოების დასრულების შემდგომ დემობილიზირებული იქნება ყველა დროებითი კონსტრუქცია. ტერიტორია დასუფთავდება, გატანილი იქნება ნარჩენები და გაყვანილი იქნება ტექნიკა/სატრანსპორტო საშუალებები.

**მშენებლობის წარმოების კალენდარული გრაფიკი**

	სამუშაოს დასახელება	მშენებლობის ხანგრძლივობა 90 დღე								
		I თვე			II თვე			III თვე		
		დეკადა								
		1	2	3	4	5	6	7	8	9
1	2									
1	მოსამზადებელი სამუშაოები									
2	ნაპირდამცავი სამუშაოები									
3	დემობილიზაცია									

არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტო-მასალა









დანართი 1 ჰიდროლოგიური ანგარიში

**სოფელ ბაზალეთში არსებული უსახელო ხევის  
მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათება**

სოფელ ბაზალეთში არსებული უსახელო ხევი სათავეს იღებს ლომისის ქედის სამხრეთ დაბოლოების წინამთებში, სოფელ ბაზალეთის ჩრდილოეთით 1,3 კმ-ში 1212 მეტრის სიმაღლეზე და ერთვის მდ. ხინათ-ხევის მარცხენა მხრიდან 910 მეტრის სიმაღლეზე. უსახელო ხევის სიგრძე სოფელ ბაზალეთში მოსაწყობი ნაპირგამაგრების უბნის ბოლო, ქვედა კვეთამდე 2,02 კმ, საერთო ვარდნა 247 მეტრი, საშუალო ქანობი 122%, წყალშემკვრები აუზის ფართობი კი 1,57 კმ<sup>2</sup>-ია. საპროექტო უბანზე ხევის გააჩნია მარჯვენა, ასევე მშრალი უსახელო შენაკადი, რომელზეც ასევე გათვალისწინებულია ნაპირგამაგრების მოწყობა. აღნიშნული ხევის სიგრძე სათავიდან უსახელო ხევთან შეერთების, ანუ ნაპირგამაგრების უბნის ქვედა კვეთამდე 1,60, საერთო ვარდნა 230 მეტრი საშუალო ქანობი 144%, წყალშემკვრები აუზის ფართობი კი 0,39 კმ<sup>2</sup>-ია.

აღნიშნული ხეების წყალშემკვრები აუზები მხედარეობენ ლომისის ქედის სამხრეთ დაბოლოების სამხრეთ ფერდობზე. მათი წყალშემკვრები აუზის წყალგამყოფის ნიშნულები იცვლება 1025-დან 1268 მეტრამდე. აუზის რელიეფი სუსტად დანაწევრებულ წინამთის ზონას წარმოადგენს. მის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ ქვიშაქვები, კირქვები, ბაზალტები და კონგლომერატები. ძირითადი ქანები გადაფარულია ყომრალი ნიადაგებით. აუზის მცენარეული საფარი 1150 მეტრზე მაღლა წარმოდგენილია ხშირი ფოთლოვანი ტყით. სოფელ ბაზალეთის მიმდებარე ტერიტორია კი ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით.

ხეების მაღალი ქანობის მქონე კალაპოტები ზომიერად კლაკნილი და დაუტოტავია. ხეების კალაპოტში წყალი ჩნდება მხოლოდ თოვლის დნობისა და ინტენსიური წვიმების პერიოდში. წლის ხანგრძლივი დროის მანძილზე ხეები მშრალია.

**კლიმატი**

სოფელი ბაზალეთი და მის ტერიტორიაზე არსებული ხეები მდებარეობენ შიდა ქართლის ბარში, სადაც გაბტონებულია ზომიერად ნოტიო ჰავა ცივი ზამთრით და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით. აღნიშნული ტერიტორიის კლიმატური დახასიათება შედგენილია სოფ. ნაზალეთის სიახლოვეს არსებული დუშეთის მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით.

დუშეთის მეტსადგურის მონაცემებით მზის ნათების ხანგრძლივობა მთელი წლის განმავლობაში მაღალია და 2300 საათს აღემატება. ჯამობრივი რადიაციაც, რომლის სიდიდე 120-130 კკალ/სმ<sup>2</sup>-ს შორის მერყეობს, საკმაოდ მაღალია. რადიაციული ბალანსის წლიური მაჩვენებელი კი 50 კკალ/სმ<sup>2</sup>-ს შეადგენს.

მზის რადიაციასთან უშუალო კავშირშია კლიმატური პირობების მაფორმირებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი -ჰაერის ტემპერატურა, რომლის საშუალო თვიური, წლიური და ექსტრემალური მნიშვნელობები დუშეთის მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვებების მონაცემების მიხედვით, მოცემულია №1 ცხრილში.

ჰაერის ტემპერატურის საშუალო თვიური, წლიური და ექსტრემალური სიდიდეები t°C  
ცხრილი №1

მ/სადგური	t°C	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
დუშეთი	საშ.	-1.4	-0.5	3.5	8.9	13.9	17.2	20.2	20.4	16.3	11.2	5.5	0.8	9.7
	აბს. მაქს.	16	18	25	29	30	33	35	35	34	31	25	18	35
	აბს. მინ..	-26	-24	-17	-9	-1	3	5	5	-3	-8	-13	-22	-26



რაიონში წაყინვები, ანუ საშუალო დღე-ღამური დადებითი ტემპერატურების ფონზე ჰაერის გაციება 0°-ზე ქვემოთ, საშუალოდ იწყება ნოემბერში და მთავრდება აპრილის შუა რიცხვებში. წაყინვების დაწყებისა და დასრულების თარიღები, ასევე უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში, იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია N2 ცხრილში.

წაყინვების დაწყებისა და დასრულების თარიღები და უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში

ცხრილი N2

მეტსადგური	წაყინვების თარიღი						უყინვო პერიოდი დღეებში		
	დასაწყისი			დასასრული			საშუალო	უმცირესი	უდიდესი
	საშუალო	ნაადრევი	გვიანი	საშუალო	ნაადრევი	გვიანი			
დუშეთი	3.XI.	26.IX.	5.XII.	13.IV.	15.III.	3.V.	203	161	251

ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურა, რომელიც დამოკიდებულია ნიადაგის ტიპზე, მის მექანიკურ შემადგენლობაზე, სინოტივეზე, მის დაცულობაზე მცენარეული საფარით ზაფხულში და თოვლის საფარის სიმაღლეზე ზამთარში, ითვალისწინებს ნიადაგის ზედაპირის რამდენიმე მმ.-იანი სისქის ფენის ტემპერატურას. მისი მაჩვენებლები მჭიდრო კავშირშია ჰაერის ტემპერატურის სიდიდეებთან. ამასთან, მისი საშუალო წლიური მაჩვენებელი, საკვლევ ტერიტორიაზე, დაახლოებით 1 გრადუსზე მეტად აღემატება ჰაერის ტემპერატურის საშუალო წლიურ სიდიდეს. ნიადაგის ზედაპირის საშუალო თვიური, წლიური, საშუალო მაქსიმალური და საშუალო მინიმალური მნიშვნელობები მეტსადგურ დუშეთის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით მოცემულია N3 ცხრილში.

ნიადაგის ზედაპირის საშუალო თვიური, წლიური, საშუალო მაქსიმალური და საშუალო მინიმალური ტემპერატურები°C

ცხრილი N3

მეტსადგური	ტემპერატურა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
დუშეთი	საშუალო	-3	-1	4	11	17	21	25	24	18	11	5	-1	11
	საშ.მაქსიმ.	6	10	18	28	36	40	46	44	35	26	16	8	26
	საშ. მინიმ.	-8	-7	-3	2	7	11	14	14	10	4	-1	-6	3

ნიადაგის ზედაპირის წაყინვების დაწყებისა და დასრულების საშუალო თარიღები, ასევე უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში, იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია N4 ცხრილში.

ნიადაგის ზედაპირის წაყინვების დაწყებისა და დასრულების საშუალო თარიღები და უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში

ცხრილი N4.

მეტსადგური	წაყინვის საშუალო თარიღი		უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში
	პირველი შემოდგომაზე	საბოლოო გაზაფხულზე	
დუშეთი	24.X	24.IV	182

ატმოსფერული ნალექები, რომლებიც წარმოადგენენ რაიონის კლიმატური და ჰიდროლოგიური რეჟიმის მაფორმირებელ ერთერთ ძირითად ელემენტს, საკვლევ ტერიტორიაზე არც თუ დიდი რაოდენობით მოდის. საკვლევ ტერიტორიაზე მოსული ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 739 მმ-ს არ აღემატება. ამასთან ნალექების წლიური მსვლელობა ხასიათდება ერთი მაქსიმუმით მაის-ივნისში და მეორადი მაქსიმუმით სექტემბერ-ოქტომბერში. ატმოსფერულის ნალექების საშუალო თვიური რაოდენობა და წლიური ჯამი, იმევე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია N5 ცხრილში.

ნალექების საშუალო თვიური რაოდენობა და წლიური ჯამი მმ.-ში

ცხრილი N5

მეტსადგური	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
დუშეთი	35	43	50	77	121	104	62	51	60	57	45	34	739

აქ ნალექების დღე-ღამური მაქსიმალური რაოდენობა არც ისე მაღალია. ნალექების დღე-ღამური მაქსიმალური რაოდენობა, დაფიქსირებული 1952 წლის 24 ივნისს იმავე მეტსადგურზე, 82 მმ-ს შეადგენდა. ნალექების დღე-ღამური მაქსიმალური რაოდენობის სხვადასხვა უზრუნველყოფის სიდიდეები, მოცემულია N6 ცხრილში.

სვადასხვა უზრუნველყოფის ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმები მმ-ში (წლიური)

ცხრილი N6

მეტსადგური	საშუალო მაქსიმუმი	უზრუნველყოფა %						დაკვირვებული მაქსიმუმი	
		63	20	10	5	2	1	მმ	თარიღი
დუშეთი	42	36	54	62	68	77	84	82	24.VI.1952

ჰაერის სინოტივე ერთერთი მნიშვნელოვანი კლიმატური ელემენტია. მას უმთავრესად სამი სიდიდით ახასიათებენ. ესენია: წყლის ორთქლის დრეკადობა ანუ აბსოლუტური სინოტივე, შეფარდებითი სინოტივე და სინოტივის დეფიციტი. პირველი ახასიათებს ჰაერში წყლის ორთქლის რაოდენობას, მეორე - ჰაერის ორთქლით გაჟღენთვის ხარისხს, ხოლო მესამე - მიუთითებს შესაძლებელი აორთქლების სიდიდეზე.

საკვლევ ტერიტორიაზე ჰაერის სინოტივის მაჩვენებლები არც ისე მაღალია. აღსანიშნავია რომ ჰაერის წყლის ორთქლით გაჯერებისა (აბსოლუტური სინოტივის) და მისი დეფიციტის მაჩვენებლების წლიური მსვლელობა პრაქტიკულად ემთხვევა ჰაერის ტემპერატურის წლიურ მსვლელობას. ჰაერის სინოტივის მაჩვენებლების საშუალო თვიური და წლიური სიდიდეები მეტსადგურ დუშეთის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია N7 ცხრილში.

ჰაერის სინოტივის საშუალო თვიური და წლიური სიდიდეები

ცხრილი N7

მეტსადგური	ტენიანობა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
დუშეთი	აბსოლუტური მმ-ში	4.3	4.5	5.2	7.7	11.3	13.8	16.1	15.5	13.0	9.6	7.0	5.0	9.4
	შეფარდებითი %-ში	72	72	70	68	72	70	69	66	72	75	75	74	71
	დეფიციტი მმ-ში	1.8	2.0	2.8	4.4	5.3	6.8	8.4	8.9	6.0	3.8	2.8	2.0	4.6

იმავე მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, თოვლის საფარი საშუალოდ ჩნდება 29. XI და საშუალოდ ქრება 30. III-ს. ამასთან, თოვლის საფარის საშუალო დეკადური სიმაღლე 17 სმ-ს, ხოლო მაქსიმალური საშუალო დეკადური სიმაღლე 61 სმ-ს შეადგენს. თოვლის საფარის გაჩენისა და გაქრობის თარიღები იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია №8 ცხრილში.

თოვლის საფარის გაჩენისა და გაქრობის თარიღები

ცხრილი №8

მეტსადგური	თოვლიან დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის გაჩენის თარიღი			თოვლის საფარის გაქრობის თარიღი		
		საშუალო	ნაადრევი	გვიანი	საშუალო	ნაადრევი	გვიანი
დუშეთი	53	29.XI	6.X	28.XII	30.III	28.I	1.V

რაიონში ქრის ყველა მიმართულების ქარი, მაგრამ გაბატონებულია არმოსავლეთის მიმართულების ქარი. ქარების მიმართულება და შტილების რაოდენობა იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია №9 ცხრილში.

ქარების მიმართულება და შტილების რაოდენობა %-ში წლიურიდან

ცხრილი N9

მეტსადგური	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
დუშეთი	7	17	20	12	17	9	12	6	35

აქ ქარის საშუალო წლიური სიჩქარე მაღალი არ არის, ხოლო ქარის საშუალო თვიური სიჩქარე, დაფიქსირებული მარტის თვეში, 1,7 მ/წმ-ს შეადგენს. ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარეები, იმავე მეტსადგურების მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით მოცემულია N10 ცხრილში

ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარე მ/წმ-ში

ცხრილი №10

მეტსადგური	ფლიუგერის სიმაღლე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
დუშეთი	11 მ.	1.3	1.6	1.7	1.6	1.6	1.6	1.4	1.4	1.4	1.4	1.2	1.0	1.4

ქარის სხვადასხვა განმეორებადობის მაქსიმალური სიჩქარეები იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით მოცემულია N11 ცხრილში

ქარის მაქსიმალური სიჩქარეები მ/წმ-ში

ცხრილი N11

მეტსადგური	ქარის მაქსიმალური სიჩქარე (მ/წმ) შესაზღვრელი ერთჯერ				
	1 წელში	5 წელში	10 წელში	15 წელში	20 წელში
დუშეთი	20	27	30	32	34

შიდა ქართლის ბარში ღრუბლიანობა საკმაოდ მაღალია. შაშუალოდ, წლის განმავლობაში ცის თაღის 50-58% დაფარულია ღრუბლებით. ღრუბლიანობა ყველაზე მეტია

